გოჩა ფერაძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის
სამართლის ისტორიისა და თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი

პირველი პროკურატურა დამოუკიდებელ კავკასიაში

(100 წლის წინ)

საუკუნეზე ოდნავ მეტი გვაშორებს 1918 წლის 26 მაისს, თარიღს როდესაც საქართველოს მრავალეროვანი მოსახლეობის მიერ დემოკრატიულ საწყისებზე არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იმავე დღეს სრული შემადგენლობით, ერთხმად იქნა დამტკიცებული ქვეყნის ისტორიაში პირველი ეროვნული მთავრობა.[1] მათ შორის, რესპუბლიკის პირველ იუსტიციის მინისტრად, იმავდროულად გენერალურ პროკურორად ცნობილი იურისტი და საზოგადო მოღვაწე, ეროვნული საბჭოს წევრი შალვა ალექსი მესხიშვილი (1884-1960) დაამტკიცეს.[2] პიროვნება რომელსაც გენრალური პროკურორის თანამდებობაზე მუშაობისას (1918-1919 წლები), დიდი წვლილი მიუძღვის დამოუკიდებელ კავკასიაში პირველი პროკურატურის ჩამოყალიბებისა და მასზე დაკისრებული საპასუხისმგებლო, იმავდროულად ურთულესი ფუნქციების შესრულების

---

[1] საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1836, აღწ.1, ერთ. N43, გვ.5-11;

[2] სულ დამოუკიდებლობის წლებში საქართველოს იუსტიციის მინისტრის, იმავდროულად გენერალური პროკურორის თანამდებობაზე სამი პირი იქნა დამტკიცებული. პირველი, როგორც უკვე ავღნიშნეთ გახლდათ **შალვა ალექსი მესხიშვილი** (1918-1919წ.წ.); შემდეგი იყო **ევგენი გეგეჭკორი** (1919-1920 წ.წ.) და ბოლოს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, იუსტიციის მინისტრი (გენერალური პროკურორი) გახლდათ **რაჟდენ არსენიძე** (1920-1921წ.წ.). რაც შეეხება იუსტიციის მინისტრისა და გენერალური პროკურორის თანამდებობების შეთავსების პრაქტიკას, რუსეთის იმპერიაში ის ალექსანდრე I შემოიღო. პირველად სწორედ მან 1802 წლის სექტემბერში, მმართველობის დარგობრივი ინსტიტუტების კოლეგიების - სამინისტროებით ჩანაცვლებისას, **გენერალური პროკურორის თანამდებობა იუსტიციის მინისტრს გ.დერჟავინს შეუთავსა.** იმ დროიდან მოყოლებული 1917 წელს ცარიზმის დამხობამდე ეს წესი აღარ შეცვლილა. საგულისხმოა, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იგივე წესით გააგრძლეს ფუნქციონირება რუსეთის დროებითმა მთავრობამ და საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ. მეტიც, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, პროკურატურის ამ ფორმით მართვა საბჭოთა ხელისუფლებისთვისაც მისაღები აღმოჩნდა და **წლების მანძილზე საქართველოშიც, რუსეთის ფედერაციაშიც და თვით საბჭოთა კავშირშიც, გენერალური პროკურორის თანამდებობას სწორედ იუსტიციის მინისტრები (სახალხო კომისრები) ითავსებდნენ** (სრულად იხ. М.А. Челцов-Бебутов – «Курс Совецкого Уголовно-Процессуального Права», т.I, стр. 734-735, гос. изд-во юридической литературы, М., «1957г.; ასევე: ა.ფალიაშილი - „საბჭოთა პროკურატურის განვითარების ძირითადი ეტაპები“, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“ 1982წ. N3, გვ.15-16). აღნიშნულის გათვალისწინებით წინმდებარე წერილში ყველგან, სადაც იუსტიციის მინისტრის მიერ პროკურატურის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე იქნება მსჯელობა, თავს უფლებას მივცემთ და მას **გენერალური პროკურორის სახელით მოვიხსენიებთ**;

თვალსაზრისით. მხედველობაში გვაქვს უმოკლეს ვადაში ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროიდან შემორჩენილი პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების თავმოყრა, მათი ახალი კადრებით დაკომპლექტება, ხელმძღვანელობა და როგორც წინასწარ გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის, ისე ქვეყნის მასშტაბით მოქმედ სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

მანამდე კი, ვიდრე დამოუკიდებელი რესპუბლიკისა და მასთან ერთად ფეხადგმული საქართველოს პროკურატურის პირველ ნაბიჯებს გავიხსენებდეთ, ორიოდე სიტყვით იმ საუკუნოვანი ისტორიის შესახებ, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრებაში პროკურატურის შემოსვლასთან არის დაკავშირებული. საკითხის კვლევას XVIII-XIX საუკუნეების სამანთან მივყავართ, როდესაც რუსეთის იმპერატორმა პავლე I დაარღვია რა, ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის 1783 წელს გეორგიევსკში დადებული **„მფარველობა-დაქვემდებარების ხელშეკრულება“,**[3] 1801 წლის 18 იანვარს საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ მანიფესტი გამოაქვეყნა. იმავე წლის 12 სექტემბერს კი, მისმა ვაჟმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის პროვინციად გამოაცხადა.[4] ქვეყანას ქართველ მონარქთა ათასწლოვანი დინასტიის ნაცვლად, იმპერატორის მიერ დანიშნული მოხელე ჩაუდგა სათავეში.

სახელმწიფოებრივი განვითარების ამავე ეტაპთან არის დაკავშირებული ჩვენი ერის ცხოვრებაში სიტყვა პროკურორის, სამართალწარმოებაში კი, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო დაწესებულების - პროკურატურის შემოსვლა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სწორედ სიტყვა პროკურატურა იყო უცხო ქართული სინამდვილისთვის. რაც შეეხება ძირითად ფუნქციებს, რომლის შესრულებაც ამ უწყებას ევალებოდა, კერძოდ: **სისხლის სამართლებრივ დევნას, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას, სასჯელის აღსრულებაზე ზედამხედველობას** და სხვა, მათი განმახორციელებელი ინსტიტუტები, ჩვენი ქვეყნისთვის სიახლეს ნამდვილად არ

---

[3] გეორგიევსკის ტრაქტატის სამართლებრივი ბუნებისა და ზოგადად საქართველო-რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ ვრცლად იხილეთ **აკად. ლევან ალექსძის** ამავე სახელწოდების წიგნში „საქართველო - რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1983წ.;

[4] მოგვიანებით, ქართლ-კახეთის სამეფოს ბედი გაიზიარეს საქართველოს დანარჩენმა რეგიონებმაც: **იმერეთის** სამეფო რუსეთის იმპერიამ 1810 წელს შეიერთა, **გურიის** სამთავრო 1826 წელს, **სამეგრელო** 1857 წელს, **სვანეთი** 1858 წელს და **აფხაზეთი** 1864 წელს (იხ.: შ. ჩხეტია - „რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში (1840-1864წ.წ.)“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII-B, თბ., 1944 წელი, გვ.111);

წარმოადგენდნენ. 2017 წელს **მთავარი პროკურატურის მიერ გამოცემულ წიგნში** „პროკურატურის ისტორიისათვის საქართველოში“, ეს საკითხი საკმაოდ ვრცლად არის განხილული. მეტიც, ისტორიულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით იქვე გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ სწორედ ქართული სახელმწიფო გახლდათ ერთ-ერთი პირველი ევროპაში, რომელმაც ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის საკითხის, საჯარო ინტერესთა რანგში აყვანით, ჯერ კიდევ XII საუკუნეში დაიწყო ზრუნვა სამძებრო-ინკვიზიციური პროცესის მოქმედების არეალის გასაფართოვებლად. მანვე როგორც საზღვარგარეთ, ისე ქვეყნის შიგნით მოქმედ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (აკადემიებში), უზრუნველყო ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო სპეციალისტების „ახალი პროფესიის ადამიანების“ მომზადება და ბოლოს, XII საუკუნეშივე, სისხლის სამართლებრივი დევნისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი სპეციალური სამსახურების შექმნით (მპარავთმეძებლის, ჩენილების სახით), პირველი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა გზაზე, რომელმაც ევროპული საზოგადოება 100-130 წლის შემდეგ საფრანგეთში პირველი პროკურატურის შექმნამდე მიიყვანა.[5]

სამწუხაროდ, მოგვიანებით, უცხოელ დამპყრობლებთან წარმოებული დაუსრულებელი ომების გამო ქართველ ხალხს ბრალდების მხარდამჭერი ინსტიტუტის სრულყოფაზე ზრუნვის შესაძლებლობა აღარ მიცემია. ამ თვალსაზრისით, უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩდნენ დასავლეთ ევროპული სახელმწიფოები. შესაბამისად, მსოფლიოში პირველი პროკურატურის შექმნის ინიციატივაც, მათ ხელში გადავიდა და თავად ინსტიტუტმაც იქ მიიღო დასრულებული სახე, რომლითაც საქართველოში მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში და ისიც რუსეთის იმპერიის „გავლით დაბრუნდა“.

მიუხედავად გეორგიევსკის ტრაქტატში არსებული ჩანაწერისა, რომ ქვეყნის საშინაო მართვა-გამგეობა, სამართლის წარმოება და გადასახადების აკრეფა მთლიანად საქართველოს მეფის უფლებებში უნდა დარჩენილიყო (მუხ. 6), 1802 წელს რუსეთის იმპერატორის მიერ ქვეყნის მმართველად დანიშნულმა **პავლე ციციანოვმა,** რუსეთის სხვა

[5] ვრცლად იხ. გ.ფერაძე - „პროკურატურის ისტორიისათვის საქართველოში“, ნარკვევი I, VI-XVIIIს.ს., თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, 2017 წელი;

გუბერნიების[6] მსგავსად **საქართველოშიც პროკურორის თანამდებობის შემოღება მოითხოვა.** იმპერატორმა მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა და მას შემდეგ 1917 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, საქართველოში (თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები გვაქვს მხედველობაში), პროკურორებად იშვიათი გამონაკლისის გარდა მხოლოდ უცხოელი მოხელეები ინიშნებოდნენ.

სწორედ, ასეთ იშვიათ გამონაკლისთა შორის უნდა მოვიხსენიოთ სამეფო ტახტის აზნაურთა შთამომავალი **იაგორ (გიორგი) გლახოს ძე ჭილაშვილი**, რომელიც 1821 წლის 1 აგვისტოს იმპერატორ ალექსანდრე პირველის ბრძანებით საქართველოს პროკურორად დაინიშნა. უნდა აღინიშნოს, რომ ი.ჭილაშვილი როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი თანამემამულეთა გასაჭირს იმთავითვე დიდი გულისხმიერებით მოეკიდა და პროკურორის თანამდებობაზე მუშაობის წლებში, არაერთი საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში შეძლო მათი დახმარება. უპირველეს ყოვლისა მხედველობაში გვაქვს საქმისწარმოების ვადების შესამცირებლად პროკურორის თანაშემწეთა შტატების გაზრდა, დანაშაულისა და სასჯელის თანაფარდობის საკითხის მოწესრიგება, გლეხებისთვის აუქციონში საკუთარი თავის გამოსასყიდად მონაწილეობის უფლების მინიჭება და სხვა. თუმცა, 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილე ეროვნულ ძალებთან იდეური კავშირის ბრალდებით (კონკრეტული მტკიცებულებების არ არსებობის მიუხედავად), ი.ჭილაშვილი აქტიურ სამოხელეო საქმიანობას ჩამოაშორეს.[7] ხელისუფლებამ კი, გაითვალისწინა რა „საკუთარი შეცდომა“ მაქსიმალურად ცდილობდა ასეთ მაღალ თანამდებობაზე ადგილობრივი კადრი აღარ დაენიშნა.

რაც შეეხება უფლებებს, რომლითაც ზოგადად პროკურორები, მათ შორის საქართველოს პროკურორი იყო აღჭურვილი. ეს საკითხი იმ დროისათვის ეკატერინე II მიერ 1775 წელს საგუბერნიო მმართველობის შესახებ გამოცემული დებულებით იყო მოწესრიგებული. დასახელებული პირველწყაროს 27-ე თავი მთლიანად სხვადასხვა რანგის „პროკურორებისა და მათი თანაშემწეების“ (იგივე **стряпчій**-ს როგორც ისინი თავად

---

[6] აქვე დავძენთ, რომ თავად რუსეთის იმპერიაში პროკურატურა იმპერატორ პეტრე I ინციატივით 1722 წლის 12 იანვრის ბრძანებულებით შეიქმნა. (იხ. Полное Собраніе Законовъ Россійской Империи, т. 6, ст.479, Санктпетербургъ, 1830г.);

[7] ვრცლად იხ. ივ.სურგულაძე - „ი.ჭილაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი“, თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1979 წელი;

დებულებაში არიან მოხსენებულნი), უფლება-მოვალეობებს ეთმობოდა. დებულების თანახმად პროკურორები (მათი თანაშემწეები): განმარტავდნენ კანონებს; ადგენდნენ დასკვნებს; ატარებდნენ შემოწმებებს; გამოდიოდნენ კანონდარღვევებზე გამოძიების დაწყების ინიციატორებად; მეტიც, უფლება ჰქონდათ სასამართლოსთვის გადაეცათ მათ ხელთ არსებული მასალები საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად; ზემდგომ ინსტანციაში შეეტანათ საჩივარი თუ, მოსამართლის გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევდნენ და სხვა.

თუმცა არსად, 1775 წლის დებულების არცერთ მუხლში არ გვხვდება მინიშნება იმის თაობაზე, **რომ პროკურორები მხარს უჭერდნენ სახელმწიფო ბრალდებას.** მეტიც, არც პროკურორს და არც მის თანაშემწეს საკითხის გადაწყვეტასას სასამართლოში დარჩენის უფლებაც კი არ ჰქონდათ. «თანაშემწეც და პროკურორიც - ვკითხულობთ 1775 წლის დებულების 406 მუხლის მე-9 პუნქტში - გადაწყვეტილების მიღებისას ტოვებდნენ სასამართლოს.[8] ამავე მუხლში მოცემული განმარტების თანახმად, მათ ეს ევალებოდათ, რადგან მოსამართლეს საქმე დამოუკიდებლად, „ზუსტად კანონის სიტყვისა და ძალის მიხედვით“ გადაეწყვიტა.[9]

ამდენად შეიძლება ითქვას, რომ **ის ძირითადი ფუნქციები, რომლითაც პროკურორები დღეს არიან აღჭურვილნი** (სისხლის სამართლებრივი დევნა, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობა, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა და სხვ.), **მათ მხოლოდ 1864 წლის სასამართლო რეფორმის შემდეგ შეიძინეს.**

აქვე დავძენთ, რომ ეს რეფორმა ჩვენთვის იმდენად არის საყურადღებო რამდენადაც, 1917 წელს ცარიზმის დამხობამდე, გარკვეული ცვლილებების მიუხედავად, სამართალწარმოების განმსაზღვრელ ძირითად საკანონმდებლო ბაზად (როგორც სამოქალაქო ისე სისხლის სამართლის მიმართულებით), სწორედ ეს დოკუმენტი რჩებოდა. კიდევ უფრო იზრდება ამ სამართლებრივი აქტების მნიშვნელობა თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დამოუკიდებლობის

---

[8] «**Губернскіе Стряпчіе и Губернскій Прокуроръ во время рѣшенія дѣла изъ присутствія выходятъ**», (სრულად იხ. «Полное Собрание Законов Российской империи», т.XX, «Учреждения для управления губерний Всероссийския империи», ст.406, пункт 9, Санктпетербургъ, 1830г.);

[9] იქვე;

წლებში მიღებული ნორმატიული აქტების დიდი უმრავლესობა საგულდაგულოდ იქნა განადგურებული. შესაბამისად დღეისათვის 1917-1921 წლებში სახელმწიფო ინსტიტუტების და მათ შორის პროკურატურის საქმიანობის სურათის აღდგენა ძირითადად სწორედ ქართული ემიგრაციის მიერ გადარჩენილი დოკუმენტებისა და 1864 წლის საკანონმდებლო აქტების ბაზაზე დაყრდნობით არის შესაძლებელი.

რაც შეეხება თავად საკანონმდებლო აქტებს, რომელთა შემუშავება და გამოცემა თამამად შეიძლება ითქვას XIX საუკუნის რუსეთის (და არა მარტო), სამართლებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. კანონები მეფის ხელისუფლებამ 1864 წლის 20 ნოემბერს 4 სასამართლო წესდების სახით გამოაქვეყნა. პირველი იყო წესდება „სასამართლო დაწესებულებათა დაარსების შესახებ"; მეორე გახლდათ „წესდება სისხლის სამართლის სამართალწარმოების შესახებ"; მესამე „წესდება სამოქალაქო სამართლის სამართალწარმოების შესახებ" და ბოლოს „წესდება მომრიგებელი მოსამართლეების მიერ გამოყენებადი სასჯელების შესახებ".

ჩამოთვლილი საკანონმდებლო აქტების ამოქმედებასთან ერთად იმპერიის მასშტაბით (მ.შ. საქართველოშიც) გაუქმდა როგორც წოდებრივი, ისე ფეოდალის სასამართლოები (ე.წ. **Вотчинная Юстиция**); აღიარებულ იქნა სასამართლოს დამოუკიდებლობა ადმინისტრაციისგან; მოსამართლის უცვლელობა და დამოუკიდებლობა. რეფორმის თანახმად განსაკუთრებულ წარმოებაში ამოღებული საქმეების გარდა (ძირ. სახელმწიფო დანშაულები), საერთო წესით შეუდგნენ საქმეების განხილვას: 1. სამომრიგებლო სასამართლოები და მათი ყრილობები; 2. საოლქო სასამართლოები, 3. სასამართლო პალატები[10] და 4. სენატი, თავისი საკასაციო დეპარტამენტებით.

უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სასამართლო დაწესებულებათა აქ ჩამოთვლილი ინსტიტუტები დამოუკიდებელ რესპუბლიკაშიც არსებითი ცვლილებების გარეშე იქნა შენარჩუნებული.[11]

---

[10] საოლქოსგან განსხვავებით, სასამართლო პალატის სამოქმედო ტერიტორია ერთდროულად რამდენიმე გუბერნიას მოიცავდა. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით **საქართველოში სულ სამი: თბილისის, ქუთაისის და სოხუმის საოლქო** და **ერთი, თბილისის სასამართლო პალატა ფუნქციონირებდა;**

[11] უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულის გარდა სისხლის სამართლის (მათ შორის უმძიმესი კატეგორიის) საქმეებს პირველი ინსტანციის წესით საქართველოში **სამხედრო და საგანგებო სასამართლოებიც იხილავდნენ.** თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ დაწესებულებათა საქმიანობა დროებით ხასიათს

იმ განსხვავებით, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და სენატი მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეიქმნა. ამასთან ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ სამომრიგებლოს გარდა, ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში საჯარო ბრალდების საქმის განხილვისას პროკურორის მონაწილეობა სავალდებულო იყო.[12]

დამოუკიდებელი საქართველოს სასამართლო დაწესებულებებზე მსჯელობას კი, მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი სამომრიგებლო სასამართლოებით დავიწყებთ. **„კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის“** შესახებ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ **1918 წლის 24 სექტემბერს** მიიღო.[13] უნდა აღინიშნოს, რომ მომრიგებელი მოსამართლეები ძირითადად მცირე მნიშვნელობის, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებს იხილავდნენ.[14] საქმისწარმოება ზეპირ ხასიათს ატარებდა და დაზარალებულის საჩივრით იწყებოდა. ამასთან მოსამართლეს ნებისმიერ ეტაპზე შეეძლო შერიგებით საქმის შეწყვეტა. თუ შერიგება ვერ მოხერხდებოდა, მოსამართლეს საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოქონდა განაჩენი. იმავდროულად მხარეებს განემარტებოდათ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადები და უფლება. სააპელაციო ინსტანციაში კი, პროკურორის მონაწილეობა უკვე სავალდებულო იყო. მეტიც, იმ შემთხვევაში თუ პროკურორი, მოსამართლის გადაწყვეტილებას უკანონოდ მიიჩნევდა,

---

ატარებდა (ორივე ეროვნული ხელისუფლების წლებშივე იქნა გაუქმებული), ამასთან პროკურორთა გამოსვლა ამ სასამართლოებში განსაკუთრებულ თავისებურებასთან დაკავშირებული არ ყოფილა, ამჯერად მათზე ყურადღებას აღარ გავამახვილებთ;

[12] „ადგილობრივი სასამართლოს გარდაქმნის შესახებ“ მეფის რუსეთის **1912 წლის 15 ივნისის კანონის თანახმად**, რომელიც გარკვეული დამატებებისა და ცვლილებების შეტანის გზით, საფუძვლად დაედო **საქართველოს რესპუბლიკის კანონს „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ“**, 64[1] მუხლში ვკითხულობთ, რომ: მომრიგებელი მოსამართლის მიერ, საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას მართალია, **პროკურორი (მისი თანაშემწე), უშუალოდ არ მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში მაგრამ, თუ საჭიროდ ჩათვლიდნენ შეეძლოთ ბრალდებულის მხილების მიზნით სახელმძღვანელო მითითებები მიეცათ პოლიციის თანამშრომლებისთვის** (იხ. Полное Собраніе Законовъ Россійской Империи, т. XXXII, стр.702, Петроградъ, 1915г.);

[13] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი N1836, აღწერა 1, საქმე N87, გვ.41-42; იხ. ასევე 1912 წლის 15 ივნისის კანონი „ადგილობრივი სასამართლოს გარდაქმნის შესახებ“ (იხ. Полное Собраніе Законовъ Россійской Империи, т. XXXII, Петроградъ, 1915г., стр. 662-705);

[14] მომრიგებელ სასამართლო დაწესებულებათა ქვემდებარე საქმეების ვრცელი ჩამონათვალი იხ. კანონში **„მომრიგებელ სასამართლო დაწესებულებათა ქვემდებარეობის გაფართოვების შესახებ“**, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 18.02.1919 წ.;

შეეძლო სენატის სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო დეპარტამენტში საკასაციო პროტესტი შეეტანა.[15]

თუ რამდენად ზრუნავდა საგამოძიებო სამსახურების გამართულ საქმიანობაზე საქართველოს ახლადდანიშნული გენერალური პროკურორი **შალვა ალექსი-მესხიშვილი,** კარგად ჩანს მის მიერ 1918 წლის 14 აგვისტოს ეროვნულ საბჭოში შეტანილი კანონპროექტიდან მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწის საკითხთან დაკავშირებით. საკუთარ წერილში შ.ალექსი-მესხიშვილი, სისხლის სამართლის საქმეებზე წინასწარი გამოძიების საწარმოებლად, მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწის თანამდებობის გაუქმებას და მის ნაცვლად: საოლქო სასამართლოებთან **საგანგებო საქმეთა**, ქვედა რგოლში კი, **უბნის სასამართლოს გამომძიებელთა** თანამდებობის შემოღებას მოითხოვდა, შესაბამისი დამხმარე პერსონალის დანიშვნით. გამომძიებლის დამხმარეებად კი, მოიაზრებოდნენ თარჯიმანი (იგივე საქმის მწარმოებელი) და გზირი.[16]

უნდა აღინიშნოს, რომ გენერალური პროკურორის მიერ კანონპროექტისთვის თანდართული ხარჯთაღრიცხვის ნუსხის მიხედვით[17] საგანგებო გამომძიებლების რიცხვი იმ დროისათვის ქვეყანაში სულ 4 ერთეულით შემოიფარგლებოდა. აქედან, თბილისში - 2, ქუთაისსა და სოხუმში თითო. რაც შეეხებათ უბნის გამომძიებლებს რესპუბლიკის მასშტაბით არც მათი რაოდენობა იყო დიდი. **თბილისის გუბერნიაში:** თავად დედაქალაქში - სულ 12 უბნის გამომძიებელი მუშაობდა, გუბერნიაში შემავალ დანარჩენ ქალაქებსა და მაზრებში 18; **ქუთაისის გუბერნიაში:** ქ.ქუთაისში 4 უბნის გამომძიებელი იყო დასაქმებული, ამდენივე ქ.ფოთში, გუბერნიაში შემავალ დანარჩენ ქალაქებსა და მაზრებში 18; **სოხუმის ოლქიდან,** ქ.სოხუმში გამომძიებლის 2 შტატი იყო გათვალისწინებული, ოლქში შემავალ დანარჩენ ადგილებში კი 4. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გენერალური პროკურორის წინადადებას მხარი დაუჭირა და 1918 წლის 10 სექტემბერს მის მიერ შეტანილმა კანონპროექტმა კანონის სახე მიიღო.[18]

---

[15] М.А. Челцов-Бебутов – «Курс Совецкого Уголовно-Процессуального Права», т.I, стр. 776-780, гос. изд-во юридической литературы, М., «1957г.;

[16] საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1938, აღწ.1, ერთ. N24, გვ.17;

[17] საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1938, აღწ.1, ერთ. N24, გვ.18;

[18] საქართველოს ეროვნული არქივი ფ.1936, აღწ.1, ერთ. N87, გვ.28;

რაც შეეხება პირველი რესპუბლიკის წლებში მართლმსაჯულების განმახორციელებელ ყველაზე დატვირთულ და იმავდროულად უმნიშვნელოვანეს რგოლს, ე.წ. „საერთო სასამართლოებს“. სასამართლო დაწესებულებათა ეს ნაწილი, როგორც უკვე ავღნიშნეთ **საოლქო სასამართლოებისა** (პირველი ინსტანცია) და **სასამართლო პალატისგან** (სააპელაციო ინსტანცია) შედგებოდა. ამასთან საქმეების რაოდენობა (მათ სიმძიმეზე რომ არაფერი ვთქვათ), აქ გაცილებით მეტი იყო თუნდაც იმიტომ, რომ იგივე საოლქო სასამართლოში რამდენიმე მაზრისა და შესაბამისად, კიდევ უფრო მეტი სამომრიგებლო უბნის საქმეები იყრიდა თავს. ასე მაგალითად, დუშეთის მაზრაში 5 სამომრიგებლო უბანი შედიოდა (თავად დუშეთი, მცხეთა, ფასანაური, მლეთი და ყაზბეგი), ამდენივე იყო სოხუმის ოლქშიც (სოხუმი, გუდაუთა, გაგრა, ოჩამჩირი, სამურზაყანო). იყო მაზრები სადაც 7 (გურია), 9 (შორაპანი) და 12 უბანიც კი შედიოდა (ქუთაისი).[19] ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ **საოლქო სასამართლოს ქვემებარე ყველა საქმეზე წინასწარ გამოძიება სავალდებულო იყო და არცერთი სხდომა არც არსებითი და არც გამწესრიგებელი არ შეიძლება ჩატარებულიყო პროკურორის მონაწილეობის გარეშე.**[20]

ამდენად გასაგებია საქართველოს გენერალური პროკურორის მონდომება და მიმართვა საქართველოს მთავრობის მეთაურისადმი „ტფილისის ოლქის სასამართლოში პროკურორის სამი ამხანაგის (თანაშემწის) ახალი თანამდებობის და ქუთაისის ოლქის სასამართლოში პროკურორის ამხანაგის ერთის ახალის თანამდებობის დაწესების შესახებ“.[21] ამასთან, პროკურატურის თანამშრომელთა რაოდენობის გაზრდას შ.ალექსი-მესხიშვილი იმითაც ასაბუთებდა, რომ გამომძიებლებად დანიშნულ პირებს შორის ბევრი იყო გამოუცდელი და ამიტომ: **„საგამომძიებლო უბნებში დარჩენილი ხუთი ათასამდე გამოსაძიებელი საქმის გაძღოლას ისინი მხოლოდ პროკურორის ნაწილის უახლოვესის დახმარებით თუ შესძლებდნენ“**.[22]

უნდა აღინიშნოს, რომ თუ **ყველა სამოქალაქო საქმე** საოლქო სასამართლოში სამი მოსამართლის შემადგენლობით იხილებოდა, **სისხლის სამართლის საქმეებზე**

---

[19] საქართველოს ეროვნული არქივი ფონდი 1938, აღწ.1, ერთ. N24, გვ.13;

[20] М.А. Челцов-Бебутов – «Курс Совецкого Уголовно-Процессуального Права», т.I, стр. 756, 781, гос. изд-во юридической литературы, М., «1957г.;

[21] საქართველოს ეროვნული არქივი ფონდი 1938, აღწ.1, ერთ. N302, გვ.13;

[22] საქართველოს ეროვნული არქივი ფონდი 1938, აღწ.1, ერთ. N302, გვ.14;

მოსამართლეებს ორი განსხვავებული ფორმით უხდებოდათ მუშაობა. **ეს ეხებოდა სასამართლოს შემადგენლობასაც და განხილვის წესსაც.** კერძოდ, საქმეების ერთ ნაწილს (ძირითადად ნაკლებად მძიმე დანაშაულებს) პროკურორის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნით მოსამართლეები კოლეგიალურად, სამი კაცის შემადგენლობითი იხილავდნენ. ხოლო საქმეების მეორე ნაწილს (ძირითადად ეს მძიმე კატეგორიის საქმეები იყო) - ისევ საოლქო სასამართლო იხილავდა, მხოლოდ უკვე ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით. ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით გამოტანილი განაჩენი სააპელაციო წესით არ საჩივრდებოდა და შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო მხოლოდ სენატში მხარის საკასაციო საჩივრის ან, პროკურორის პროტესტის საფუძველზე.[23]

ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე გამოტანილი განაჩენი კი, როგორც მოდავე მხარეებს ისე საოლქო სასამართლოს ბრალმდებელს შეეძლოთ გაესაჩივრებინათ თბილისის სასამართლო პალატაში. დამოუკიდებელი რესპუბლიკის დედაქალაქში მოქმედ კიდევ ერთ სასამართლო ინსტანციაში, რომელიც ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი: სამოქალაქო და სისხლის სამართლის დეპარტამენტებისგან შედგებოდა. ორივე მათგანის უმთავრეს დანიშნულებას სააპელაციო საჩივრებისა და პროკურორთა პროტესტების მეორე ინსტანციის წესით განხილვა წარმოადგენდა. რაც შეხება პროტესტის მხარდაჭერას, ამ მიზნით სასამართლო პალატასთან ე.წ. **„ბრალმდებლის ნაწილი“** ფუნქციონირებდა. 1918 წლის მონაცემებით მისი შემადგენლობა სულ 5 თანამშრომლით: თავად სასამართლო პალატის ბრალმდებლით, მისი ორი ამხანაგით (თანაშემწით), მდივანითა და მდივნის თანაშემწით განისაზღვრებოდა.[24]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პალატის ბრამლდებლებს მათ უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების გარდა, შეეძლოთ სახელმძღვანელო მითითებები მიეცათ პირველი ინსტანციის, ამ შემთხვევაში საოლქო სასამართლოს ბრალმდებლებისთვისაც, გამოეთხოვათ მათგან ინფორმაცია კონკრეტულ საკითხთან

[23] საქართველოს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტის მიერ 1920 წლის 21 ოქტომბერს გაუქმებული, ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით გამოტანილი ერთ-ერთი ასეთი განაჩენი იხ. საქართველოს ეროვნულ არქივში, ფონდი 1837, აღწ. 1, ერთ. N905, გვ. 15-16;
[24] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1938, აღწ. 1, საქმ. ერთ. 27, გვ.2;

დაკავშირებით.[25] მეტიც, როგორც გაირკვა სასამართლო პალატის ბრალმდებელთა მოვალეობებში წინასწარი გამოძიების პროცესში მოქალაქეთა კანონიერი ინტერესების დაცვაზე (უკანონო ჩხრეკები, დაპატიმრებები) ზედამხედველობაც შედიოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებისას, სასამართლო პალატის პროკურორები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც მოხერხებულად იყენებდნენ. ასე მაგალითად 1920 წლის 17 სექტემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ თბილისის სასამართლო პალატის პროკურორმა გამოაქვეყნა მიმართვა დედაქალაქის მაცხოვრებლებისადმი და მოუწოდა მათ: „. . . ვისაც უორდეროდ გაჩხრეკდნენ ან, დაატუსაღებდნენ მიემართათ პროკურორისთვის დღისით თუ, ღამით ტელეფონით N13-50 ან N96 და მათ დაუყოვნებლივ გაანთავისუფლებდნენ“.[26]

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და უპირველეს ყოვლისა სასამართლო პალატის პროკურორთა დატვირთულობის გათვალისწინებით, უთუოდ დროული იყო 1920-1921 წლებში **საქართველოს გენერალური პროკურორის რაჟდენ არსენიძის** მიმართვა დამფუძნებელი კრებისადმი,[27] ტფილისის სასამართლო პალატის **„ბრალმდებლის ნაწილის“** პროკურორის ამხანაგის 2 საშტატო ერთეულით გაზრდის თაობაზე. საკანონმდებლო ორგანომ გაითვალისწინა, რა გენერალური პროკურორის მოთხოვნა 1920 წლის 1 ივნისიდან თბილისის სასამართლო პალატის ბრალმდებლის ნაწილი, დამატებით 2 პროკურორის თანაშემწის, ორი კანცელარიის მოხელისა და ერთი „მანქანით გადამწერის“ შტატით გაზარდა.[28]

დასასრულს, ვიდრე ე.წ. „საერთო სასამართლოებზე“ მსჯელობას დავასრულებდეთ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედების ფაქტზე. **პირველი სასამართლო პროცესი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, სწორედ თბილისის საოლქო სასამართლოში, 1920 წლის 8 მარტს შედგა.** სხდომას თავმჯდომარეობდა საოლქო სასამართლოს მოსამართლე მ.ორჯონიკიძე, **ბრალდებას**

---

[25] უნდა აღინიშნოს, რომ **სასამართლო პალატის ბრალმდებლის მითითება სავალდებულო იყო შესასრულებლად საოლქო სასამართლოს ბრალმდებლითვის.** მეტიც, ეს უკანასკნელი ანგარიშვალდებული იყო სასამართლო პალატის ბრალმდებლის წინაშე (იხ. არქივი, ფ.1938, აღწ. 1, ერთ. 410, გვ.22-23; ასევე გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 20.07.1919წ.);

[26] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 17.09.1920წ.);

[27] 1919 წლის 12 მარტს თბილისში გაიხსნა ახლადარჩეული **დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა,** რომელმაც მანამდე მოქმედი საქართველოს **ეროვნული საბჭო (პარლამენტი)** ჩაანაცვლა;

[28] იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 07.07.1920წ.;

მხარს უჭერდა საოლქო სასამართლოს ბრალმდებელი შოთა დადიანი.[29] სხდომას საპატიო სტუმრებიც მრავლად ესწრებოდნენ კერძოდ, მთავრობის თავმჯდომარე **ნოე ჟორდანია**, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე **ალექსანდრე ლომთათიძე**, დამფუძნებელი კრების წევრები, სენატორები და საზოგადოების სხვა ცნობილი წარმომადგენლები. **პროცესის დაწყებამდე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა გენერალურმა პროკურორმა რაჟდენ არსენიძემ.**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ერის ცხოვრებაში, XX საუკუნის დასაწყისში მომხდარმა ამ ისტორიულმა მოვლენამ, კიდევ ერთხელ ცხადყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლების კეთილმყოფელი გავლენა ნაბისმიერი ერის კულტურული, სამართლებრივი წინსვლის საქმეზე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომლის ამოქმედებაც ათწლეულების მანძილზე, მეფის რუსეთის ხელისუფლებას **დამნაშავეობისადმი მკვიდრი მოსახლების „ზედმეტად ლოიალური“ დამოკიდებულების გამო** შეუძლებლად მიაჩნდა, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ რაღაც 2 წელში წარმატებით ამოქმედდა და საპატიო ადგილი დაკავა ქართული მართლმსაჯულების სისტემაში.[30]

სულ რამდენიმე თვით ადრე კი, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში კიდევ ერთი ღირსსახსოვარი მოვლენა მოხდა. ეს გახლდათ საქართველოში სენატის, რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო დაწესებულების ამოქმედება. თავის 1919 წლის 8 ოქტომბრის წერილში **საქართველოს გენერალური პროკურორი ევგენი გეგეჭკორი** გულწრფელად ულოცავდა სენატის ახლად არჩეულ თავმჯდომარეს დავით ხელთუფლიშვილს საპასუხისმგებლო და საპატიო თანამდებობის დაკავებას და სენატის საქმიანობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებზე შეხვედრას სთავაზობდა.[31] სულ რამდენიმე დღის შემდეგ კი, ბატონმა ე.გეგეჭკორმა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, როგორც ეს საქართველოს სენატის შესახებ დებულების 29 მუხლშია აღნიშნული, **ობერ პროკურორის თანამდებობაზე დასანიშნად** წარუდგინა: თბილისის სასამართლო პალატის ბრალმდებლის ა.გელაზარიშვილის და თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარის

[29] იხ. გაზ. „სახალხო საქმე“, მაისი, 1920წ.;
[30] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 10.03.1920 წ.;
[31] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1938, აღწ. 1, საქმ. ერთ. 328, გვ.4;

მ.მღვდლიშვილის კანდიდატურები. მათ ამხანაგებად (თანაშემწეებად) კი, თბილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე კიზირია, თბილისის სასამართლო პალატის წევრი გელოვანი, სამხედრო სასამართლოს ბრალმდებელი ვეზირიშვილი და ქუთაისის საოლქო სასამართლოს წევრი კოსტავა დაასახელა.[32]

რესპუბლიკის მთავრობის 1919 წლის 14 ოქტომბრის სხდომის ოქმის ამონაწერის მიხედვით გენერალური პროკურორის მიერ წარდგენილი ყველა კანდიდატი დაინიშნა სენატის საპროკურორო ნაწილში. მანამდე, 7 ოქტომბერს არჩეულ იქნენ სენატის მოსამართლე წევრები[33] და **1919 წლის 23 ოქტომბერს შედგა საქართველოს სენატის პირველი სხდომა.** საშინელი ნგრევისა და ქაოსის პირობებში, როგორც ამ მოვლენისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე საქრთველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ ალექსანდრე ლომთათიძემ აღნიშნა, - ქართველმა ხალხმა, ქართულმა დემოკრატიამ შეძლო და „სენატის სახით თავის სასამართლოს გვირგვინი დაადგა“.[34]

რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და საგანგებოდ უნდა გაესვას ხაზი, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში პირველივე დღიდან საქართველოს იუსტიციის მინისტრის, იმავდროულად რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ხელმძღვანელობით **აქტიურად მონაწილეობდნენ მთელი ქვეყნის მაშტაბით სამომრიგებლო უბნებზე, საოლქო სასამართლოებში, ქ.თბილისის სასამართლო პალატაში, სენატში მოღვაწე ობერ პროკურორები, პროკურორები, მათი თანაშემწეები და გამომძიებლები,** ისინი ვინც სწორედ პროკურორების უშუალო ხელმძღვანელობით იძიებდნენ ურთულეს და უმძიმეს საქმეებს. ეცნობი რა საქართველოს ეროვნულ არქივში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ქვეყნის სხვა უმნიშვნელოვანეს წიგნსაცავებში შემორჩენილ, ჟამთა სიავისგან გახუნებულ ფურცლებს, პროკურორთა, გამომძიებეთა ყოველდღიური საქიანობის ამსახველ მასალებს კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ ქართველ გამომძიებელთა, პროკურორთა პირველმა თაობამ მართლაც შეუძლებელი შეძლო. მათ არა მარტო შეინარჩუნეს და მნიშვნელოვნად განაახლეს წინა ხელისუფლებისგან მიღებული მემკვიდრეობა, მისი საკანონმდებლო ბაზა, არამედ **არსებობის ხანმოკლე სულ რაღაც სამი**

[32] საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 1938, აღწ. 1, საქმ. ერთ. 328, გვ.10-11;
[33] საქართველოს სენატში არჩეულ პირთა სრული სია იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში“, 10.10.1919წ.;
[34] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 24.10.1919 წ.;

წლის მანძილზე კიდევ უფრო გაამდიდრეს საპროკურორო საქმიანობის ასპარეზი, უზრუნველყვეს რა მაღალკვალიფიციური იურისტებით, სახელმწიფო ბრალმდებლებით: ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და სენატი.

ყოველივე ზემოაღნიშნული, მეტ ისტორიულ დატვირთვას შეიძენს თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ საქართველო იყო პირველი სახელმწიფო რეგიონში რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა და შესაბამისად, პირველი დაადგა იმ ურთულეს გზას რასაც სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სხვა უმნიშვნელოვანეს მიმართულებებთან ერთად, პროკურატურის ეროვნული ინსტიტუტების ფორმირება და მათი გამართული საქმიანობის უზრუნველყოფა ჰქვია. **პირველი რესპუბლიკის წლებშივე ჩაეყარა საფუძველი საპროკურორო საქმიანობის ეროვნულ სკოლას,** რომლის ტრადიციებზეც 1918 წლის შემდეგ ათასობით ჩვენი თანამემამულე აღიზარდა და **უკვე 100 წელია ქართველ იურისტთა სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები ძალისხმევას, ზოგჯერ სიცოცხლესაც კი არ იშურებენ რათა, ღირსეულად ატარონ გამომძიებლის, პროკურორის საპატიო წოდება.**